



ოქმი:ო37.37222521

თარიღი:09/09/2022

## ოქმი N 13

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

#### სხდომის

2022 წელი, 7 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვაგა, მოადგილე ტ. აროშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მუაგანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე,ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, დ.მდინარაძე, ლ. კილაძე, ალ. ლლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, თ. გოგუაძე, ი. თუთბერიძე, თ. ნიკოლაშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, რ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, გ. სირაძე, ნ. მახარაძე, თ. ტულუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ლურჯუმელიძე, მოადგილე-ნ. გოლიაძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, მის დამტკიცებამდე მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ლურჯუმელიძემ ითხოვა ერთი საკითხის -„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N28 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, დამატებით განხილვა, რომლის გათვალისწინებით, 34-ხმით, დაამტკიცეს სხდომის დღის

წესრიგი.

საკითხების განხილვის დაწყებამდე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რ. დუმბაძემ სხდომის თავმჯდომარეს დ. დარჩიას გადასცა იმ პრობლემების დასურათებული სია, რომელიც, მოსაგვარებელია დაბალაითურსა და ნარუჯაში.

### **დღის წესრიგი**

29.1. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 ნოემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**გელა ჩავლეშვილი**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

30.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**ქეთევან ხომერიკი**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა რომ წლებია მის მიერ გახმოვანებულ სოციალურად შეჭვივრებულ მოქალაქეზე სოფელ ქვედა ბახვიდან, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი, არ გაწეულა არავითარი დახმარება, თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ამ მოქალაქეს მუნიციპალიტეტის მერიამ უქირავა საცხოვრებელი ფართი.

არასამთავრობო ორგანიზაციის საქართველოს დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელმა- ლ. ხინთიბიძემ განაცხადა, რომ არიან ამ დადგენილების თანაავტორები, მისასალმებელია მისი განხორციელება მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის მხარდაჭერით, თანაც პირველად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ქვეყნის მასშტაბით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვაგამ განაცხადა, რომ ამ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას აღნიშნულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმოადგინა მნიშვნელოვანი წინადადებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა, მათი ეს აქტივობა უნდა გაგრძელდეს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

45.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისძეთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**ბექა თოიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით.

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მუჯანაძემ დასვა შეკითხვა- საკრებულოს უმრავლესობის- პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრებიდან არის ვინმე დარჩენილი დაბა გომისძეთაზე მიწის ნაკვეთი არ ჰქონდეს უკანონოდ მითვისებული?, დაამატა, რომ სწორედ საკრებულოს უმრავლესობა კურორტის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი, ამ შეკითხვას და განცხადებას მოჰყვა დარბაზში ხმაური, დაპირისპირება საკრებულოს წევრებს შორის, დ. მუჯანაძემ მაგალითად მოიყვანა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. არაქიძე, რომელსაც დეკლარაციაში აქვს გაცხადებული მიწის ნაკვეთის თაობაზე. ამ სიტყვებს მოჰყვა გინება, უწმაწური სიტყვები და ხმაურის გაზრდა, ფიზიკური დაპირისპირების მცდელობა, რის გამოც 11.35 -საათზე სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ გამოაცხადა 30-წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 12. 05 -საათზე, შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ისაუბრა ამ განკარგულების და კურორტ გომისძეთის განაშენიანების გენერალური გეგმის ხელახლა შედგენის აუცილებლობაზე.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

31.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

## გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით.

საკითხის განხილვის დროს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება და თქვენც აცხადებთ- ქვეყანაში ეკონომიკა ყვავის, ვითარდება, რატომ ვერ გრძობენ ამას რიგითი მოქალაქეები?, პირველადი მოხმარების საგნები და პროდუქტები ძვირდება, მოსახლება ღატაკდება, ვერც თხილის ფასის -მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითადი შემოსვლის წყაროს დარეგულირება მოხერხდა. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ უმჯობესია აქცენტი კეთდებოდეს იმ საკითხებზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შედის. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უპრეცედენტო ზრდა (61 მილიონი ლარი) ყველამ უნდა დაინახოს და მიიჩნიოს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებად.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. გოგუაძემ იკითხა- რატომ განხორციელდა ქ. ოზურგეთში ეკლესიის მიმდებარე სკვერის დემონტაჟი? ამავე ფრაქციის წევრმა ბ. ქათამაძემ იკითხა- სინტერესოა რა მეთოდით ხდება სოფლების შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოების დათვლა? ხომ არაა იგი კორუფციის წყარო?, მოსახლეობა გაღარიბებულია, შიმშილობს - მუნიციპალიტეტი კი 500 ათას ლარამდე ხარჯავს სათვალთვალო კამერების შესაძენად. ამავე ფრაქციის წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სოფელ ქვედა ბახვიში მოსახლება წლების მანძილზე ითხოვს მილხიდის მოწყობას, 2 მილიონი ლარის დახარჯვის მიუხედავად მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი, რა ინფრასტრუქტურის განვითარებაზეა საუბარი?.

კითხვებს უპაუხა თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, ქ. ოზურგეთში თეატრალური მოედანი და ეკლესიის გვერდით არსებული პარკი ერთიანი პროექტით განახლდება და გალამაზდება, შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ათვლის მეთოდზე ინფრასტრუქტურის სამსახურს უნდა მიემართოს, რაც შეეხება კორუფციას ბიუჯეტი აბსოლუტურად გამჭვირვლეა. ძირითადად შეძენილია ზოგადი ხედვის კამერები, რომლის დანიშნულება ჯარიმებზე უფრო საზოგადოებრივი ქონების და მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვაა, რადგან არის ქონების განადგურებისა და ვანდალიზმის შემთხვევები. ამიტომ იგეგმება კამერების შეძენა. ბახვის სასმელი წყლის მშენებლობა არაა დამთავრებული, დასრულების შემდეგ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით, რაც შეეხება მილხიდს, მისი მოწყობაზე გამოცხადებულია ტენდერი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რ. დუმაძემ განაცხადა, რომ დაბა ლაითურში სასმელ წყლზე იქმნება პრობლემები უყაირათოდ ხარჯვის გამო, აუცილებელია ტარიფის შემუშავება, საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ლაითურის წყლსადენი ოპერირებისათვის გადაცემული აქვს შ.პ.ს. სატისს, რაც შეეხება ტარიფს, მისი შემუშავება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის კომპეტენციაა და ამ მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მუავანაძემ იკითხა- რატომ გაიზარდა საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი და გახდა

70 ათასი ლარი?, კარგია რომ მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში შენობების ფსდების რეაბილიტაცია, მგრამ რატომ დაინგრა თეატრალური მოედანი და ეკლესიის მიმდებარე პარკი, რომლებიც ევროპელი არქიტექტორების პროექტით აშენდა? განაცხადა, რომ ისინი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდშია აშენებული და ალბათ პოლიტიკური ნიშნით დაინგრა. გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ქ. ოზურგეთის მოსახლეობა ითხოვს თეატრალურ მოედანს დაბრუნებოდა წინანდელი სახე, შევიწროვებული სივრცე გაფართოებულიყო. საწვავ-სპოხი მასალების ლიმიტი არ გაზრდილა, თანხის რაოდენობა გაიზარდა ფასების ზრდის გამო.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

46.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით, 2-წინააღმდეგი.

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მუავანაძემ დასვა შეკითხვა სოფელ ნატანებში, შეკვეთილში არსებული მიწის ნაკვეთის თაობაზე, განაცხადა, რომ იგი შედის სარეკრეაციო ზონაში და მისი გასხვისება არ შეიძლება, ამოღებული უნდა იქნეს ნუსხიდან. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ნაკვეთი არ შედის სარეკრეაციო ზონაში.

47.6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N28 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

